

ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის აღსრულების შეფასება:  
ქუთაისის, ბათუმისა და თბილისის მუნიციპალიტეტების მაგალითზე

ანა ჯანელიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების  
და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნოდარ ტანგიაშვილი, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2019

*„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“*

ანა ჯანელიძე

26.06.2019

## სარჩევი

აბრევიატურების ჩამონათვალი .....	ii
აბსტრაქტი .....	1
შესავალი .....	4
ლიტერატურის მიმოხილვა .....	5
კვლევის მეთოდოლოგია .....	12
ევროპული საკანონმდებლო ბაზა .....	13
დირექტივა 75/44/EEC .....	13
დირექტივა 1991/31/EC .....	15
დირექტივა 2000/76/EC .....	16
დირექტივა 2008/98/EC .....	17
დირექტივა 2018/851 .....	22
საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსი .....	24
ნარჩენების მართვის იერარქია.....	26
ნარჩენების მართვის პრინციპები .....	27
საქართველოს ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია 2016-2030 წლებისთვის.....	27
ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის მიზნები .....	30
ნარჩენების მართვის სისტემა საქართველოში .....	31
მუნიციპალიტეტები - არსებული ვითარება და გამოწვევები .....	31
ნაგავსაყრელები .....	37
დაჯარიმება ნარჩენებით გარემოს დანაგვიანების სამართალდარღვევებზე .....	41
სატარიფო პოლიტიკა .....	43
ცალკეული მუნიციპალიტეტის ქეისის შესწავლა .....	46
ქუთაისის მუნიციპალიტეტი .....	46
ბათუმის მუნიციპალიტეტი .....	48
თბილისის მუნიციპალიტეტი.....	51
დასკვნები და რეკომენდაციები.....	55
ბიბლიოგრაფია .....	59

## აკრონიმები

მგვ - მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება

CENN - კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი

WMTR - ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში

EBRD - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

KFW - გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს 2015 წელს მიღებული ნარჩენების მართვის კოდექსის საფუძველზე შემუშავებული 2016-2030 წლებისთვის ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის აღსრულების, მასში განსაზღვრული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულების პროცესს მისი მიღებიდან დღევანდელ დღემდე. სტრატეგია განსაზღვრავს ქვეყანაში ნარჩენების მართვის პოლიტიკასა და სტრატეგიულ მიმართულებებს, ხედვას, მიზნებს და შესაბამის ამოცანებს 15 წლიანი პერიოდისთვის და მიზნად ისახავს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების იმპლემენტაციას. გრძელვადიან პერსპექტივაში სტრატეგია მიზნად ისახავს ნარჩენების პრევენციასა და რეციკლირებას.

აქედან გამომდინარე, ნაშრომი საკითხის სხვადასხვამხრივი გამოკვლევის გზით ცდილობს შეისწავლოს რამდენად თანმიმდევრულად და დადგენილ ვადებში სრულდება სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანები მთავარი გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად. ამისთვის გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, ინტერვიუები ნარჩენების მართვის პროცესში ჩართულ მხარეებთან, შესაბამისი საჯარო უწყებებიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის, დოკუმენტებისა და პირველადი, მეორეული წყაროებისა და სტატისტიკური მონაცემების ანალიზი. ნარჩენების მართვა ფართო ცნებაა და სხვადასხვა კატეგორიის ნარჩენების მართვის სისტემის ჩამოყალიბებას გულისხმობს.

წინამდებარე კვლევის შესწავლის ქვესაკითხი არის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის დანერგვის პროცესი, ნარჩენების მართვის კოდექსითა და ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების შეფასება და მონიტორინგი. ნაშრომის საკვლევ კითხვებია: რამდენად თანმიმდევრულად მიმდინარეობს ნარჩენების მართვის პოლიტიკის აღსრულება? რა ფაქტორები უშლის ხელს ნარჩენების მართვის კოდექსის საფუძველზე შემუშავებული ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულებას? რა სირთულებთანაა დაკავშირებული მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შესრულება?

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში ნარჩენების მართვის სისტემის დანერგვასთან დაკავშირებულ პრობლემებს შორისაა როგორც კვალიფიციური ადამიანური რესურსების, ისე ტექნიკური, ინფრასტრუქტურული, შესაბამისი აღჭურვილობის ნაკლებობა, დასუფთავების მოსაკრებლის განსაზღვრა გაწეული ხარჯების სრულად ამოსაღებად, ნარჩენების მართვის საკითხის მიმართ საზოგადოების ცნობიერების დაბალი მაჩვენებელი, სეპარირების არადაამკმაყოფილებელი მაჩვენებელი და მუნიციპალური ნარჩენების თანმიმდევრულად და სტანდარტების შესაბამისად დაგეგმვის ციკლის აუცილებლობა.

გამოწვევების საპასუხოდ, ნაშრომი საერთაშორისო პრაქტიკის წარმატებული ქეისების გათვალისწინებით წარმოადგენს რეკომენდაციებს.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: ნარჩენების მართვა, მუნიციპალური ნარჩენები, სეპარირება.

## **Abstract**

The presented paper aims at examining the ongoing process of execution of long-term goals and relevant objectives of 2016-2030 National Strategy of Waste Management developed in accordance with Waste Management Code of Georgia of 2015. The Strategy establishes the policy and strategies of waste management, vision, goals, and objectives to be implemented within 15-year period, as well as aimed at implementing the obligations undertaken under the Association Agreement with the EU. In the long perspective, the strategy aims at waste prevention and recycling.

Therefore, by examining the given topic from different perspectives, the presented work tries to examine how consistently the defined objectives are being implemented in the established time

frames to achieve final long-term goals of the strategy. For this purpose, this paper uses qualitative methods, interviews with the stakeholders, analysis and study of public information requested from the relevant Public Agencies, documents and primary and secondary sources and statistical data. Waste management is a broad concept and includes development of management system for various categories of waste.

The subtopic of the given research is to examine the implementation process of waste management system, process monitoring and evaluation of fulfilling obligations undertaken under the Waste Management Code of Georgia and National Strategy of Waste Management. The research questions are the following: Are consistent steps taken to implement the waste management policy? What factors hinder implementation of the National Strategy and Action Plan? What are the difficulties related to implementation of Municipal Waste Management Plan?

The research has shown that challenges faced by the municipalities include lack of qualified human resources and technical support, infrastructure, equipment; insufficient level of public awareness regarding this issue; insufficient rate of waste separation across municipalities and need to plan and implement the Municipal Waste Management system consistently and in accordance with standards to cover full cycle of waste management.

In response to these challenges, the paper suggests recommendations based on best practices.

Key word: waste managements, municipal waste, separation.